თბილისის “დინამო” სუსტად იბრძვის პირველობისათვის

თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა ფეხბურთის მოყვარულთა ფართო წრეებისათვის ყოველთვის ცხოველ ინტერესს წარმოადგენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი შეხვედრა “სსრკ თასის” გათამაშების ფინალში. ამჯერადაც ყველა მოელოდა, რომ შეხვედრა საინტერესო გამოდგებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

თბილისელებმა არ გაითვალისწინეს წინა მატჩში (“ტორპედოსთან”) დაკარგული ორი ქულა, არ ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას. პირველი ტაიმის ბოლო წუთებში თბილისელები გააქტივდნენ და შექმნეს რამდენიმე კრიტიკული მომენტი მოწინააღმდეგის კარებთან. 44-ე წუთზე სპარტაკელები ჯარიმდებიან 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმით _ “პენალტით”, რომელიც პაიჭაძემ სათანადოდ ვერ გამოიყენა.

თამაშის მეორე ნახევარში უპირატესობა მეტწილად თბილისელთა ხელთ იყო, მაგრამ კარში არაზუსტი დარტყმის შედეგად ვერ გამოიყენეს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. სამაგიეროდ სპარტაკელებმა “კორნერიდან” მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენეს და იგი თბილისელების კარში მოათავსეს.

მატჩი დამთავრდა მოსკოვის “სპარტაკის” გამარჯვებით _ ანგარიშით 1:0.

გ. კაიტანჯიანი, საკუთარი კორესპონდენტი, მოსკოვი.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 27 მაისი, 1947 წ.